შპს ,, იბერი +

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და სააღრიცხვო პოლიტიკა 5
1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ 5
2. მომზადების საფუძვლები 5
3. საქმიანობის უწყვეტობა 6
4. კონსოლიდაციის საფუძვლები 6
5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 7
5.1 ამონაგების აღიარება 7
5.2 ფინანსური ინსტრუმენტები 8
5.3 ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება 9
5.4 ძირითადი საშუალებები 9
5.5 არამატერიალური აქტივები 10
5.6 მარაგი 11
5.7 იჯარა 11
5.8 საინვესტიციო ქონება 11
5.9 აქტივების გაუფასურება 12
5.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები 12
5.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში 12
6. გადასახადები 13
6.1 მოგების გადასახადი 13
6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი 13
6.3 საშემოსავლო გადასახადი 14
7. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები. 14
7.1 ანარიცხები 14
7.2 პირობითი ვალდებულებები 14
7.3 პირობითი აქტივი 15
8. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები. 15
8. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები 18
9. ფასს-ზე გადასვლა 22
10. პირობითი ვალდებულებები 22
11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 22
12. დივიდენდი 22
13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 22
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 22

4-18

გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკელმრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	8	714,639	*569,639*	21,704
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	490,627	*490,592*	1,404,265
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	2,833,042	*2,658,854*	2,633,362
სხვა მიმდინარე აქტივები		939		
სულ მიმდინარე აქტივები		***4,039,246.47***	***3,719,084***	***4,059,331***
გრძელვადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები	7.4	307,778	323,843	418,940
ძირითადი საშუალებები	11	622,594	661,656	665,007
სხვა არამატერიალური აქტივები		295.55	296	296
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში				
სულ გრძელვადიანი აქტივები		***930,667***	***985,794***	***1,084,242***
სულ აქტივები		***4,969,913.75***	***4,704,879***	***5,143,573***
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	757315.18	780,598	2,134,700
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები				
საგადასახადო ვალდებულებები		44741.55	- 2,353	54,022
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	13	20000	100,000	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		***822,057***	***878,245***	***2,188,722***
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,826,633	2,725,697	3,159,442
			-	-
განაწილებული დივიდენდი		-884210.53	151,579	261,053
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		1,205,434	1,252,515	56,462
სულ საკუთარი კაპიტალი		***4,147,857***	***3,826,633***	***2,954,852***
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		***4,969,914***	***4,704,879***	***5,143,573***

დირექტორი:

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ერთეულ ლარებში

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	8	714,639	*569,639*	21,704
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	490,627	*490,592*	1,404,265
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10	2,833,042	*2,658,854*	2,633,362
სხვა მიმდინარე აქტივები		939		
სულ მიმდინარე აქტივები		***4,039,246.47***	***3,719,084***	***4,059,331***
გრძელვადიანი აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები	7.4	307,778	323,843	418,940
ძირითადი საშუალებები	11	622,594	661,656	665,007
სხვა არამატერიალური აქტივები		295.55	296	296
ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში				
სულ გრძელვადიანი აქტივები		***930,667***	***985,794***	***1,084,242***
სულ აქტივები		***4,969,913.75***	***4,704,879***	***5,143,573***
კაპიტალი და ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	757315.18	780,598	2,134,700
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები				
საგადასახადო ვალდებულებები		44741.55	- 2,353	54,022
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	13	20000	100,000	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		***822,057***	***878,245***	***2,188,722***
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3,826,633	2,725,697	3,159,442
			-	-
განაწილებული დივიდენდი		-884210.53	151,579	261,053
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		1,205,434	1,252,515	56,462
სულ საკუთარი კაპიტალი		***4,147,857***	***3,826,633***	***2,954,852***
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		***4,969,914***	***4,704,879***	***5,143,573***

დირექტორი:

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი.

4-18

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული სრული შემოსავლიდა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიში
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	***31.12.2019***	***31.12.2018***
ამონაგები	7.1	12,332,673.36	10,389,432
საპროცენტო შემოსავალი		18,996.87	7,983
შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7.3	(8,999,073.68)	-7,334,909
საქონლის ნაშთის ცვლილება		220,336.26	34,295
მზა პროდუქციის რეალიზაცია			-11,169
გაუფასურების რევერსირება მარაგების			-31,872
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(67,523.97)	-54,832
თანამშრომლის ხელფასები და გასამრჯელოები		(1,288,777.68)	-1,100,458
ცვეთა და ამორტიზაცია		(58,249.78)	-51,158
სხვა საოპერაციო ხარჯები	7.2	(949,461.71)	-744,216
ფინანსური დანახარჯები		(5,178.56)	-8,659
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		(8,924.55)	40,654
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტვის) გაუფასურებით მიღებული ზარალი	7.4		-145,852
სპეციალიზებული საქმიანობიდან მიღებული მოგება	7.5	10,617.58	34,121
მოგება დაბეგვრამდე		1,205,434.14	1,023,361
მოგების გადასახადი ხარჯი			
<u>მიმდინარე წლის მოგება</u>		**<u>1,205,434.14</u>**	**<u>1,023,361</u>**
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		3,826,633	2,954,852
დივიდენდი		-884210.53	-151,579
<u>გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს</u>		***<u>4,147,857.02</u>***	***<u>3,826,633</u>***

დირექტორი:

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კონსოლიდირებული სრული შემოსავლიდა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიში
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნები	**31.12.2019**	**31.12.2018**
ამონაგები	7.1	12,332,673.36	10,389,432
საპროცენტო შემოსავალი		18,996.87	7,983
			-
შეძენილი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7.3	(8,999,073.68)	7,334,909
საქონლის ნაშთის ცვლილება		220,336.26	34,295
			-
მზა პროდუქციის რეალიზაცია			11,169
			-
გაუფასურების რევერსირება მარაგების			31,872
			-
გამოყენებული ნედლეული და მასალები		(67,523.97)	54,832
			-
თანამშრომლის ხელფასები და გასამრჯელოები		(1,288,777.68)	1,100,458
			-
ცვეთა და ამორტიზაცია		(58,249.78)	51,158
			-
სხვა საოპერაციო ხარჯები	7.2	(949,461.71)	744,216
			-
ფინანსური დანახარჯები		(5,178.56)	8,659
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი/მოგება		(8,924.55)	40,654
			-
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გაუფასურებით მიღებული ზარალი	7.4		145,852
სპეციალიზებული საქმიანობიდან მიღებული მოგება	7.5	10,617.58	34,121
მოგება დაბეგვრამდე		1,205,434.14	1,023,361
მოგების გადასახადი ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება		**1,205,434.14**	**1,023,361**
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		3,826,633	2,954,852
			-
დივიდენდი		-884210.53	151,579
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		***4,147,857.02***	***3,826,633***

დირექტორი: ი. ჯეიშვილი

„იბერი+“ 206197866 "IBERI+" Georgia Kutaisi L.T.D

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი.

4-18

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,796,113	7,266,484
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,265,224)	(5,414,565)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(995,997)	(877,879)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(422,654)	(380,862)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(37,939)	(92,175)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	***1,074,300***	***501,003***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(25,661)	(98,562)
მიღებული პროცენტები	14,018	7,983
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***(11,643)***	***(90,579)***
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	-	100,000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(80,000)	
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(5,179)	(8,659)
გადახდილი დივიდენდები	(840,000)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***(925,179)***	***91,341***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	7,522	46,170
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	137,478	501,765
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	569,639	21,704
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	***714,639***	***569,639***

დირექტორი:

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიში

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	31.12.2019	31.12.2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	8,796,113	7,266,484
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(6,265,224)	(5,414,565)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(995,997)	(877,879)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(422,654)	(380,862)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(37,939)	(92,175)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	***1,074,300***	***501,003***
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(25,661)	(98,562)
მიღებული პროცენტები	14,018	7,983
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***(11,643)***	***(90,579)***
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	-	100,000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(80,000)	
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(5,179)	(8,659)
გადახდილი დივიდენდები	(840,000)	-
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	***(925,179)***	***91,341***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	7,522	46,170
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	137,478	501,765
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	569,639	21,704
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	***714,639***	***569,639***

დირექტორი:

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერი.

4-18

შპს „იბერი+“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები და სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

შპს იბერი + (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია საქართველო, ქ ქუთაისი ბელორუსიის ქ. #19.

შპს „იბერი+“-ის ძირითადი საქმიანობის სახეა ფარმაცევტული პროდუქტებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების საცალო და საბითუმო ვაჭრობა, შპს „იბერი+“ დამატებითი ეწევა სპეციალიზებულ საქმიანობას, კერძოდ სასოფლო სამეურნეო საქმიანობას ხოლო შპს „იბერი +“ -ის შვილობილი კომპანიაა შპს „იბერიფარმა+“, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 8 ოქტომბერს და მისი 100 %-იანი წილის მფლობელია შპს „იბერი+“ , შპს „იბერიფარმას“ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაის სახეა ფარმაცევტული პროდუქტებისა და პირადი ჰიგიენის ნივთების საცალო რეალიზაცია.

შპს „იბერი+“ რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 1997 წლის 19 მარტიდან. დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელადშპს „იბერი+“ რეგისტრირებულია 2018 წლის 4 ივნისიდან. შპს „იბერი+“-ის დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი დაფუძნებიდან დღემდე არის თეიმურაზ ჭეიშვილი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით. შპს „იბერი+“ წარმოადგენს ჯგუფის დედა კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებს შვილობილ კომპანიას: შპს „იბერიფარმა+“-ს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2020 წლის 30 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად.

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით . კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ჯგუფის მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ფინანსური აღრიცხვის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად ხდება პირველად. მსს ფასსის გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი.

3. საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით. “ჯგუფს“ აქვს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებად საწარმომ. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის ასე მოიქცეს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფი“ მომგებიანია, ასევე წარსულში მომგებიანი იყო და ფინანსური რესურსები მისთვის ხელმისაწვდომია. ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას:

a) „ჯგუფი“ წარსულშიც და დღესაც მომგებიანია.
b) 2019 წელს „ჯგუფმა“ საოპერაციო საქმიანობიდან მიიღო ფულადი სახსრების საკმარისი ოდენობა თავისი ფინანსური საქმიანობის განსახორციელებლად.
c) 2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „ჯგუფი“ მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

„ჯგუფის“ სააგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

4. კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს „კომპანიის“ და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც მშობელი საწარმო:

- პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ანხევარზე მეტს.
- ოფციონების ან კონვერტირებადი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით, ან ისეთი რწმუნებულის ყოლით , რომელსაც გააჩნია მოცემული საწარმოს საქმიანობის მართვის შესაძლებლობა მაკონტროლებელი საწარმოს სასარგებლოდ.

კონტროლი იმ შემთხვევაშიც არსებობს, როდესაც მშობელი სწარმო ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარს ან ნახევარზე ნაკლებს, მაგრამ ამასთან:

- საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტის ფლობის უფლებამოსილება განმტკიცებულია სხვა ინვესტორებთან შეტანხმების ძალით.
- საწარმოს მიერ ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება განმტკიცებულია წესდებით ან რაიმე შეთანხმებით.
- საწარმოს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ დანიშნოს ან გაათავისუფლოს მოცემული საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან სხვა ანალოგიური მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა და ეს საბჭო ან ორგანო აკონტროლებს ამ საწარმოს; ან
- საწარმოს აქვს იმის უფლებამოსილება, რომ ხმის უმრავლესობით ზეგავლენა მოახდინოს მოცემული საწარმოს დირექტორთა საბჭოს ან სხვა ანალოგიური მმართველობითი ორგანოს სხდომებზე და ეს საბჭო ან ორგანო აკონტროლებს ამ საწარმოს.

შილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან განსხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამიშობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდა ჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

5.1 ამონაგების აღიარება

„ჯგუფისთვის“ ამონაგები არის შემოსავალი, რომელსაც იღებს საქონლის საბითუმო და საცალო გაყიდვებიდან.

„ჯგუფის“ მიერ ამონაგების აღიარებს ხდება, როდესაც „ჯგუფი“ მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან „ჯგუფი“ მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლბელია . შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას. „ჯგუფი“ ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიან თანხას.

„ჯგუფი“ ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციას საიმედოდ აფასებს მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შეუძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ ,,ჯგუფი“ ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

5.2 ფინანსური ინსტრუმენტები

„ჯგუფი“ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

„ჯგუფის“ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფულადი სახსრების, სავაჭრო მოთხოვნების, სავაჭრო ვალდებულებების და სასესხო მოთხოვნების/ვალდებულებების სახით.

ფინანსურ აქტივს და ფინანასურ ვალდებულებას „ჯგუფი“ პირველად აღიარებს გარიგების ფასით. ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის გაყიდვის შემთხვევაში „ჯგუფი“ მოთხოვნას აღიარებს მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც სახელშეკრულებო თანხის ტოლია. ხოლო გრძელვადიანი მოთხოვნების შემთხვევაში მოთხოვნა აღიარდება მომავალში მისაღები ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები აღიარდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულებით. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

მომწოდბლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობით საქონლის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში ვალდებულებას ჯგუფი აღიარებს მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

„ჯგუფი “ ყოველი ფინანსური აქტივისათვის აფასებს გაუფასურებას ან თანხის ამოღების შეუძლებლობას.

ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარება წყდება თუ „ჯგუფისთვის“ ცნობილი გახდა გაუფასურების გამომწვევი შემდეგი მოვლენები:

ა) ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

ბ) დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან

გ) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები.

5.3 ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც „ჯგუფი“ მიიღებდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

5.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარდა ძირითადი საშუალების მუხლებში შემავალი მიწის ჯგუფისა. ჯგუფმა მიწა შეაფასა რეალური ღირებულებით მსს ფასსტანდარტების შესაბამისად.

თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაშ ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშნ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაჯავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად.

თუ არსებობს ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად. ძრითადი საშუალებების აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი, მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალება გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდააა შესაძლებელი.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივის გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად. ჯგუფი არამატერიალური აქტივის სახით ფლობს საბუღალტრო პროგრამას.

5.6 მარაგი

„ჯგუფში“ მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენას და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სატანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ ჯგუფს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაითვლება შეძენის დანახარჯების დაანგარიშებაში.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის „ჯგუფო“ იყენებს „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდს.

5.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში „ჯგუფის“ მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

5.8 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც „ჯგუფი“ ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდისთვის. „ჯგუფი“ საინვესტიოციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ფასს და ნებისმიერ დანახარჯებს. საინვესტიციო ქონებას „ჯგუფი“ აფასებს ყოველი საანგარიშო თარიღისათვის რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, „ჯგუფი“ამ აქტივს აღრიცხავს მსს ფასს სტანდარტის მე-17 განყოფილების შესაბამისად, მანამ სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი.

ქონების საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადატანას ან პირუკუ „ჯგუფი“ ახდენს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქონება პირველად დააკმაყოფილებს საინვესტიციო ქონებად აღიარების კრიტერიუმებს, ან პირიქით, როდესაც პირველად ვეღარ დააკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ , როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიცოო ქონების გასვლის შემდეგ განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლი კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

5.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალების, არამატერიალური აქტივები და სხვა აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზრაურებადი ღირებულება ნაკლებია , საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში.

იმ შემთხვევაში თუ, შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

5.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის ძირითადი საშუალების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, „ჯგუფის “ მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემო აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

5.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

6. გადასახადები

6.1 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის პირველი იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ დამფუძნებლებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღის ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან , რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

„ჯგუფის “ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიაობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა საგადასახადო ხარჯების“ სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც

დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე.

- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

„ჯგუფს“ თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აქვს დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული და დასაბეგრი ბრუნვები. „ჯგუფი“ მომწიდებლებისგან მიღებულ დღგ-ს , რომელზედაც ჩათვლას ვერ ახორციელებს აღიარებს საოპერაციო ხახრჯად.

6.3 საშემოსავლო გადასახადი

„ჯგუფი“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

7. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები, პირობითი აქტივები.

7.1 ანარიცხები

„ჯგუფი“ ანარიცხებს აღიარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის აქვს ვალდებულება , რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არ მოხდენა) რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულებების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

„ჯგუფი“ ანარიცხს აღიარებს, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება ხარჯად თუ მსს ფასს-ის სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას ისეთი აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით, როგორიცაა ძირითადი საშუალებები ან მარაგი.

წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირება ხდება მოგება ან ზარალში , გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის ღირებულებაში.

7.2 პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, რომელიც არ აღიარდება იმიტომ, რომ არ არის შესაძლებელი ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში, ვინაიდან რესურსის გასვლა მოსალოდნელი არ არის შორეულ მომავალში.

7.3 პირობითი აქტივი

„ჯგუფი“ არ აღიარებს პირობით აქტივს. ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ გამჟღავნებულია განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.

8. სრული შემოსავლის ანგარიშგების დანართები.

შენიშვნა 7.1

ამონაგები	***31.12.2019***	***31.12.2018***
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	12,332,673	10,388,077
შემოსავალი იჯარიდან		1,355
საპროცენტო შემოსავალი	18,997	
ჯამი	***12,351,670***	***10,389,432***

შენიშვნა 7.3

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	***31.12.2019***	***31.12.2018***
საწყისი ნაშთი	2,612,306.92	2,609,883.63
შეძენილი	8,999,073.68	7,334,908.51
რეალიზებული	8,778,737.41	7,300,613.59
საბოლოო ნაშთი	2,832,643.19	2,644,178.63
ნაშთა ცვლილება	220,336.27	- 34,294.99
გაუფასურების ხარჯი	(71,289.69)	-31871.71

გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შენიშვნა 7.2	***31.12.2019***	***31.12.2018***
საოპერაციო ხარჯები		
რეგისტრაციის ხარჯი	-27210.1	- 77,227
რეკლემის ხარჯი	-12163.2	- 11,996
სამეურნეო ხარჯი	-33119.7	- 23,252
საიჯარო ქირა	-410521.11	- 379,758
ოფისის ინვენტარი და ხარჯი	-10939.03	- 14,356
კომუნიკაციის ხარჯები	-25142.38	- 21,741
კომუნალური გადასახადები	-76385.7	- 72,371
დაზღვევა	-14340.7	- 15,942
მანქანის ხარჯი	-12822.26	- 10,189
კომპიუტერის ხარჯები	-6069.06	- 4,450
საკონსულტაციო ხარჯები	-15474	- 3,291
ქონების გადასახაი	-4868.2	- 3,145
ბანკის მომსახურების საკომისიო	-21673.79	- 7,493
სხვა საოპერაციო ხარჯი	-97156.67	- 16,510
სალარო აპარატ,მომსახურეობა	-3124.4	- 6,327
საკანცელარიო ხარჯი	-5393.6	- 7,212
გადახდილი ჯარიმები დასაურავები	0	- 20,296
მოგების გადასახადი ხარჯი	-32750.46	- 5,403
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	-29735.89	- 30,703
აფთიაქების მიმდინარე რემონტის ხარჯი	-5534.58	- 2,292
მინების წმენდა	-4305	- 1,052
ტრანსპორტირების და მონტაჟის ხარჯი	0	- 3,609
მომსახურების ხარჯი	-9055.5	- 5,603
წარმომადგენლობითი ხარჯი	-27058.77	
მივლინების ხარჯი	-16254.54	
ძირითადი საშუალების გასვლით მიღებული ზარალი	-20983.28	
საგადასახადო ხარჯი	-27379.84	
სულ ჯამი	***(949,462)***	***- 744,216***

გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შენიშვნა 7.4

ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულებით შეფასებით გამოწვეული ცვლილება

ბიოლოგიური აქტივი	*საბალანსო ღირებულება 01.01.2018*	*საბაზრო ღირებულება 31.12.2018*	*სხვაობა*
6.2 ჰა 10 წლის ვენახი (ვაზი)	394,992	274,843	- 120,149
2.6 ჰა 10 წლის ატმის ბაღი	23,948	49,000	25,052
სულ მოგება-ზარალში ასახული ზარალი			- *95,097*

2019 წლის პერიოდში რეალიზებულია 8532 კვ.მ ატმის ბაღი

2019 წლის პერიოდში ,,კომპანიის " ბალანსზე ირიცხება კომპანიის მიერ ბიოლოგიური აქტივის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. 2019 წლის პერიოდში ბიოლოგიურ აქტივის ღირებულებაში ცვლილება არ მომხდარა

6.2 ჰა 10 წლის ვენახი (ვაზი)	274,843.00
1.7491 ჰა 10 წლის ატმის ბაღი	32,934.67

სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	კვ.მ	საბალანსო ღირებულება 01.01.2018	საბაზრო ღირებულება 31.12.2018	სხვაობა
საგარეჯო რაიონი სოფ კაკაბეთი	6.2ჰა	82048	46,000	- 36,048.
საგარეჯო რაიონი სოფ კაკაბეთი	26023	29707	15,000	- 14,707
სულ მოგება-ზარალში ასახული ზარალი				**- 50,755**
სულ გაუფასურების ზარალი				**145,852**

2019 წლის საანგარიშო პერიოდში გასხვისებულია 8532 კვ.მ მიწის ნაკვეთი		ღირებულება 31.12.2019
საგარეჯო რაიონი სოფ კაკაბეთი	69380	46,000.00
საგარეჯო რაიონი სოფ კაკაბეთი	17491	10,082.04
		56,082.04

შენიშვნა 7.5

სპეციალიზებული საქმიანობა

,,კომპანიის სპეციალიზებულ საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა.
2018 წლის საანგარიშო პერიოდში ,, კომპანიმ: 74600კგ ყურძნის (მწვანე კახური) მოსავალი. მიღებული მოსავალი სრულად იქნა საანგარიშო პერიოდში რეალიზებული

ბიოლოგიური აქტივიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ყურძენი ,,კომპანიის" მიერ შეფასდა რეალური ღირებულებით მისი მიღების მომენტში.

სოფლის მეურნეობაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა	*- 47,939*	*ლარი*
სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყურძნის რეალური ღირებულება	*82,060*	*ლარი*
ყურძნის რეალიზაცია მოხდა ადგილზე	*82,060*	*ლარი*
სოფლის მეურნეობიდან მიღებულმა მოგებამ შეადგინა	*34,121*	*ლარი*

2019 წლის საანგარიშო პერიოდში ,,კომპანიამ" მიიღო 71500კგ.ყურძნის(მწვანე კახური) მოსავალი.

სოფლის მეურნეობაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა	*- 68,032*	*ლარი*
სოფლის მეურნეობის პროდუქციის ყურძნის რეალური ღირებულება	*78,650*	*ლარი*
ყურძნის რეალიზაცია მოხდა ადგილზე	*78,650*	*ლარი*
სოფლის მეურნეობიდან მიღებულმა მოგებამ შეადგინა	*10,618*	*ლარი*

9. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ახსნა-განმარტებები

შენიშვნა 8

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	***31.12.2019***	***31.12.2018***
ნაღდი ფული სალაროში	50,331	57,564
ფული საბანკო ანგარიშებზე	664,308	512,075
სულ ჯამი	***714,639***	***569,639***

შენიშვნა 9

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	***31.12.2019***	***31.12.2018***
დებიტორული დავალიანები	451,393	490,591
გადახდილი ავანსი	39,233	
სულ	***490,627***	***490,591***

შენიშვნა 10	***31.12.2019***	***31.12.2018***
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		
მარაგები (მედიკამენტი)	2,761,353.49	2,612,307
საწვავი (სხვა მარაგები)	12069.64	11,438
სხვა მსახარჯო მასალები (სოფლის მეურნეობაში)	59618.89	35,109
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	***2,833,042***	***2,658,854***

შენიშვნა 11		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	***31.12.2019***	***31.12.2018***
კრედიტორული დავალიანება მომწოდებლებთან	757315	780598
სულ	***757315***	***780598***

გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შენიშვნა 11 ძირითადი
საშუალების მოძრაობის ანგარიში

მთლიანი საბალანსო ღირებულება	**მიწის ნაკვეთები**	**ბიოლოგიური აქტივები**	**შენობები**	**ნაგებობები**	**მანქანა დანადგარები**	**ოფისის აღჭურვილობა**	**ავეჯი და სხვა ინვენტარი**	**სატრანსპორტო საშუალებები**	**ჯამი**
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	**111,755**	**418,940**	**129,610**	**74,997**	**18,514**	**56,856**	**149,647**	**123,629**	**1,083,947**
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში					80	16,373	43,557	38,552	98,562
დარიცხული ცვეთა			(2,880)	(2,082)	(1,890)	(9,219)	(24,573)	(10,514)	(51,158)
გადაფასები რეზერვი(+/_)	(50,755)	(95,097)							
ნარჩენი ღირებულება	**61,000**	**323,843**	**126,729**	**72,915**	**16,704**	**64,010**	**168,631**	**151,667**	**985,499**
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**61,000**	**323,843**	**126,729**	**72,915**	**16,704**	**64,010**	**168,631**	**151,667**	**985,499**
მიღებულია 2019 წლის საანგარიშო პერიოდში				1,150		16,347	6,604		24,101
დარიცხული ცვეთა			(2,880)	(3,532)	(1,896)	(11,176)	(24,508)	(14,257)	(58,250)
გასული	(4,918)	(16,065)							(20,983)
გადაფასები რეზერვი(+/_)									-
	56,082	**307,778**	**123,849**	**70,533**	**14,808**	**69,181**	**150,727**	**137,409**	**930,372**

4-18

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ელემენტი:

ა)მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო, საბაჟპ გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები,ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე

ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში.

შენიშვნა 12

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება შეფასებულია საბაზრო ღირებულებით ჯგუფის მიერ . გაუფასურების ზარალის მოგებაზარალში ასახვით.

10. ფასს-ზე გადასვლა

მსს ფასს-ზე „ჯგუფი“ გადავიდა 2018 წლის 01 იანვარს. მსს ფასს-ზე გადასვლით გამოწვეულმა ცვლილებამ შეადგინა 69473 ლარი. ცვილება აისახა 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელ მოგებაში .

10. პირობითი ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის ჯგუფს აქვს სასამართლო დავა. კომპანიის იურისტების შეფასებით მოსარჩელის მოთხოვნები უსაფუძვლოა და „ჯგუფს“ შემდგომში აღნიშნული სასამართლო დავიდან ფინანსური ვალდებულებები არ წარმოექმნება, შესაბამისად ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხები.

11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

„კომპანიასა“ და მის შვილობილ საწარმოს შორის შესრულებული ოპერაციები, რომელიც დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.

12. დივიდენდი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში შპს „იბერი+“-მა გასცა დივიდენდი 151 579 ლარი, რომელიც 2017 წლის 01 იანვრამდე მიღებული გაუნაწილებელი მოგებიდან გაიცა. ხოლო 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულია დივიდენდი 884210 ლარი

13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

10. ფასს-ზე გადასვლა

მსს ფასს-ზე „ჯგუფი“ გადავიდა 2018 წლის 01 იანვარს. მსს ფასს-ზე გადასვლით გამოწვეულმა ცვლილებამ შეადგინა 69473 ლარი. ცვილება აისახა 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელ მოგებაში .

10. პირობითი ვალდებულებები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის ჯგუფს აქვს სასამართლო დავა. კომპანიის იურისტების შეფასებით მოსარჩელის მოთხოვნები უსაფუძვლოა და „ჯგუფს“ შემდგომში აღნიშნული სასამართლო დავიდან ფინანსური ვალდებულებები არ წარმოექმნება, შესაბამისად ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხები.

11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

„კომპანიასა“ და მის შვილობილ საწარმოს შორის შესრულებული ოპერაციები, რომელიც დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.

12. დივიდენდი

2018 წლის საანგარიშო პერიოდში შპს „იბერი+“-მა გასცა დივიდენდი 151 579 ლარი, რომელიც 2017 წლის 01 იანვრამდე მიღებული გაუნაწილებელი მოგებიდან გაიცა. ხოლო 2019 წლის საანგარიშო პერიოდში გაცემულია დივიდენდი 884210 ლარი

13. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

4-18